ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01240502228**
თარიღი: **19/02/2024**

ადრესატი: ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი: 01011076175
მისამართი: ნუცუბიძის 217, ბინა 30

თქვენი 29.01.2024წ. N19/01240293870-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ქიზიყის ქუჩა N 63-ში (ს/კ №01.19.24.007.108) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2022წ. N6090612 ბრძანებით განსაზღვრული I-III ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ასევე დამატებით განგიმარტავთ, რომ შპს ,,ოპტიმალ გრუპ +"-ს (აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო) მიერ 01.06.2023 წელს შედგენილ ინსპექტირების NIR 22-01-A025/S4/04 ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ 22.08.2022წ. N6090612 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია ნაწილობრივ. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალური ინსპექციაში IV ეტაპის საეტაპო ოქმი წარმოდგენილი უნდა იქნას IV ეტაპით - შენობის საინჟინრო ქსელების მოწყობა; შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები ''- გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 405026877 018